პროექტი

ქ.ახმეტა „-----„----------„ 2019წ.

განკარგულება №

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დუისის ყოფილი ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე მდებარე 89.7კვ.მ. არასაცხოვრებელი დანიშნულების ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, ქირავნობის ფორმით ა(ა)იპ „სამოქალაქო აქტივობის ცენტრი“-სთვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ე.ა. ქვეპუნქტის 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „მუნიციპალური ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, განახორციელოს პირდაპირი განკარგვის წესით **ა(ა)იპ „სამოქალაქო აქტივობის ცენტრი“**-სთვის ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული **დუისის ყოფილი ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე მდებარე 89.7კვ.მ. არასაცხოვრებელი დანიშნულების ფართის** სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით გადაცემა. საკადასტრო კოდი: 50.06.33.067
2. დამტკიცდეს პირდაპირი განკარგვის წესით გასაცემი **დუისის ყოფილი ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე მდებარე 89.7კვ.მ. არასაცხოვრებელი დანიშნულების ფართის:**
   - სარგებლობის უფლებით (ქირავნობა) გაცემის წლიური ქირის საფასური- **1000 (ათასი) ლარის** ოდენობით:
   - სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 3(სამი) წელი.
3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში (ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ.N101)